საქართ-ლოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა" ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 „
სამზღვარგარეთ
1 გვ. . . .
4 „ 1 8. —

№ 619 სამშაბათი, ნოემბრის 13, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

## ზედმეტი ხარჯები

გაზეთები აქცევენ სათანადო ყურადღებას ზედმეტი ხარჯების საკითხს. მართლაც ეს საკითხი აუცილებლად ჯეროვან ყურადღებას მოითხოვს. აპარატების განმარტივება, შტატების შემოკლება, ხარჯების მინიმუმამდე დაყვანა შეადგენს უპირველეს ამოცანას ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის.

როდესაც სამოქალაქო ომის ფერხულში იყო ჩაბმული საბჭოთა რესპუბლიკები, როდესაც იქმნებოდა სხვა და სხვა ტიპისა და სახის დაწესებულებანი, მაშინ შეუძლებელი იყო სამხედრო ფრონტიდან მოგვეხსნა რაიმე დაწესებულება ან სამეურნეო პრინციპების დაცვისათვის მიგვექცია უმთავრესი ყურადღება. დღეს კი მდგომარეობა არსებითად შეცვლილია. დღეს სამეურნეო აღმშენებლობის ფერხულში ვართ ჩაბმული და აქ საჭიროა ყოველივე გროშის ეკონომია, უკიდურესი მომჭირნეობა, რომ ჩვენი ღარიბი სალაროს საშუალებით შევძლოთ სამეურნეო საქმიანობისათვის გავიღოთ უდიდესი პროცენტი თანხებისა.

თუ ამ ფრონტზე მიღწეული გამარჯვებანი ვერ გავამაგრეთ და ახალი პოზიციები ვერ დავიპყარით, თუ არა სამეურნეო ხასიათის ხარჯებმა წაგვართვა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური რესურსები, ცარიელ ფრაზად დაგვრჩება მუშათა ხელისუფლება, რადგან ეკონომიური კრიზისები არ მოგვცემს გასაქანს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის.

აქ ჩვენს მიზანს არ შეადგენს კონკრეტ ფაქტების ჩამოთვლა, რომელიც ააშკარავებენ არა სამეურნეო ხასიათის ხარჯების დიდ რაოდენობას, ჩვენ გვინდა საერთოდ მივაქციოთ ამ გარემოებას ყურადღება.

საბჭოთა და პარტიული მუშაკისათვის უპირველესი მცნება უნდა იყოს მომჭირნეობა, ხშირად პირდაპირ სიძუნწე ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით.

ამხ. ლენინი ამბობდა, ჩვენ კარგი ვაჭრები უნდა ვიყოთო, ჩვენ კარგი „ვაჭრები" და მრეწველები მაშინ ვიქნებით, როდესაც შევძლებთ უნაყოფო, ზედმეტ ხარჯების აცდენას.

დღეს კონკურენციაა სახელმწიფოებრივი და კერძო კაპიტალს. კერძო კაპიტალი ყოველ კაპეიკს დიდი სიფრთხილით ეკიდება, იგი უნაყოფო და ზედმეტ ხარჯს კი არა, პირიქით, სწორედ ზედმეტ ფასეულობას ეძებს და უამისოდ იგი ვერც იცოცხლებდა. თუ ჩვენ მეტი დავხარჯეთ და ნაკლები მივიღეთ, თუ ზედმეტი ხარჯები არ ჩავკალით სავსებით, მაშინ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა ახალი კი არ იქნება, რომელიც ცდილობს მუშათა ხელისუფლების ხელში გააჩეროს ეკონომიური ცხოვრების მწვერვალები, არამედ იგი იქცევა ძველ პოლიტიკად, როდესაც მუშათა მასები სულს ლაფავდენ კერძო კაპიტალის ბატონობის ქვეშ.

საჭიროა გენერალური ბრძოლა ზედმეტი ხარჯების წინააღმდეგ.

## რას სწერენ ჩვენი ყრილობის დადგენილების შესახებ

გაზეთი „მუშა" (№ 294) სწერს:

„მემარცხენე სოციალ-ფედერალისტების პარტიის ყრილობა დათავდა.

ყრილობამ გადასწყვიტა ორგანიზაციულად გაერთიანება კომუნისტურ პარტიასთან.

გაზეთი „ტრიბუნა" *) (მემარცხენე სოციალ-ფედერალისტების პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო) ასე ხსნის ამ გარემოებას:

„ჩვენთვის პარტიული თავმოყვარეობის საკითხი არ სჭარბობს რევოლიუციონურ საქმის ინტერესს და ხმა ამოუღებლივ ვამბობთ: სოციალიზმი უნდა დამყარდეს ბოლშევიკური მარქსიზმის დროშით, რევოლიუციას წინ უნდა უძღოდეს მარქსისა და ლენინის სურათი".

ეს ამბავი დიდათ საგულისხმო და საინტერესოა.

მემარცხენე სოც.-ფედერალისტები, როგორც განსაზღვრული პოლიტიკური მრწამსის მაღიარებელი, განსაკუთრებული გზით მოსიარულე პარტია, ხელს იღებს დამოუკიდებელ არსებობაზე და ორგანიზაციულად უერთდება კომუნისტურ პარტიას.

რატომ, რა მოსაზრებით?

ეჭვს გარეშეა, რომ მემარცხენე სოც.-ფედერალისტები, რომლებიც დღესაც თავის თავს „მარქსიზმის წინააღმდეგ მებრძოლათ აცხადებენ", საკითხს სჭრიან პოლიტიკური საჭიროების მიხედვით.

„უდიდესი გადამწყვეტი შეტაკებანი მომავლის საქმეა, ამ რევოლიუციონურ ქარტეხილში საჭიროა ძალთა გაერთიანება **).

აი რა უძევს სარჩულად და საფუძვლად ამ გადაწყვეტილებას.

მემარცხენე ფედერალისტები არ უარყოფენ და არ აფუჩეჩებენ იმ გარემოებას, რომ კომუნისტებსა და მათ შორის არ არის სრული ერთიანობა მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ ჯურღმულების სხვა და სხვა კუნჭულებში. ჩვენ არ ვართ „დოგმის" თაყვანისმცემლები, არც კომუნისტები გვყავს ასეთებათ წარმოდგენილი, ამბობენ ისინი.

ერთი სიტყვით, ამ ნაბიჯის გადადგმის მთელი დასაბუთება იმაში მდგომარეობს, რომ დღეს საჭიროა ნამდვილათ რევოლიუციონურ განწყობილ ძალების გაერთიანება, ერთ ორგანიზაციულ კალაპოტში ჩაყენება და საერთო ძალღონით სოციალიზმის წინააღმდეგ მომქმედ ბანაკის გამკლავება.

ეს მოვლენა თავისთავათ მეტათ მნიშვნელოვანი და ჩამაფიქრებელია. საერთაშორისო ომის სიმძიმის ქვეშ მოყოლილი კაცობრიობა მწარეთ გმინავს.

ვერსალის ხელშეკრულების ნიადაგზე დაკანონებული ავაზაკობა ქვეყნიერებას ახალ, საშინელ საბედისწერო დღის გათენებას უქადის.

საშველო ბილიკის გამონახვა, შერიგების ხაზით საქმის წაყვანა და მომავალ აუცილებელ უბედურებიდან ამით თავის დაღწევა შეუძლებელია.

არის ერთ-ერთი გზა—გზა რევოლიციონური მოქმედების, შეუპოვარი და დაუნდობელი ბრძოლის წარმოების.

ამ გზას ადგა თავიდანვე კომუნისტური პარტია.

ამ გზის სისწორე, მისი უპირატესობა და მშრომელი ხალხისათვის მისი აუცილებლობა დღეს თანდათან უფრო აშკარა და თვალსაჩინო ხდება იმათთვისაც კი, ვისაც მარქსიზმის მოწინააღმდეგეთ მიაჩნიათ თავისი თავი.

კომუნისტური პარტიის სამოქმედო გეგმა, მისი ბრძოლის გეზი და ხაზი სწორეთ მარქსიზმის რევოლიუციონურათ შეთვისებაში არის ჩამარხული.

და ვისაც ჯერ-ჯერობით ვერ მიუღია მარქსიზმი, როგორც რევოლიუციონური მოქმედების სარწმუნოება და მხოლოდ ამ მოძღვრებიდან გამომდინარე ბრძოლის წესს უჭერს მხარს, რა თქმა უნდა, ამ ხალხს, ჯერ-ჯერობით არ აქვს გარკვეული კომუნისტური პარტიის შინაარსის სიდიადე.

ისინი ხედავენ მხოლოდ იმას, რაც პირდაპირ სდგას ცხოვრების სინამდვილესთან, რაც ყოველდღიურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული რაც ყოველდღე ათას სხვა და სხვა მაგალითებზე ააშკარავებს თავის სისწორეს და უპირატესობას.

მემარცხენე ფედერალისტები სწორედ ამ უშუალო დაკვირვების ზეგავლენით, მხოლოდ მომავალის აუცილებელი გართულების მოლოდინით, სწყვეტენ ამ საკითხს.

მარქსიზმის, როგორც რევოლიუციონური მოძღვრების სისწორის შეგნება, მისი რევოლიუციონური სულის შეთვისება მხოლოდ თვით ბრძოლის მსვლელობაში შეიძლება, როდესაც ჩვენთან ერთად ჩადგებიან მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები მებრძოლ პროლეტარიატის რიგებში და მარქსის, და ლენინის სურათს, რომელიც უნდა წაუძღვეს წინ მათივე აზრით სოციალიზმის დამყარებისათვის საჭირო ბრძოლას, ორთავე ხელს მოჰკიდებენ, მხოლოდ მაშინ შეუსისხლხორცდებიან სრულებით და სავსებით კომუნიზმის მოწინავე ლაშქარს—კომუნისტურ პარტიას.

და მაშინ იმ მუშებთან ერთად, რომელთაც სწამთ კომუნისტური პარტია და მიდიან მის რიგებში, არა მარტო რევოლიუციონური ძალების დაზოგვისა და თავის მოყრის მოსაზრებით, არამედ იმიტომაც რომ მას საფუძვლად უძევს სწორუპოვარი მეცნიერებისა და უალრესი რევოლიუციონერის—მარქსის ფოლადის ჯავშნით შეჭედილი რევოლიუციონური მოძღვრება, მაშინ გახდებიან ისინი საერთაშორისო მებრძოლ პროლეტარიატის სრულუფლებიანი წევრი".

*) იხ. № 616.

**) იქვე.

ს.-დემოკრატიულ პარტიის სრულიად საკავშირო ყრილობის მომწვევი საინიციატივო ბიუროს ორგანო „მოამბე" (№ 9) სწერს:

„7 ნოემბერს დიდი ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზე გაიხსნა ტფილისში საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პაარტიის მე-2 თავისუფალი ლომა.

საყურადღებო მომენტში სწარმოებს ყრილობის მუშაობა. დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო ორ მტრულ ბანაკათ ირაზმება, როდესაც ერთი მხრივ თავაშვებული, პირწავარდნილი რეაქცია კრებს თავის ძალებს და ემზადება შეკავშირებულ პროლეტარიატთან და მშრომელ რევოლიუციონურ მასსასთან შეტაკებისთვის,—ხოლო მეორე მხრივ მშრომელი მასსაც თვის რიგებს და რაზმებს ათვალიერებს ამავე მომენტისათვის, ყოველი რევოლიუციონერის წინაშე ისმება კითხვა: ვისთან?

თავაშვებული რეაქციის კონტრრევოლიუციონურ ბანაკში თუ რევოლიუციონური წითელი დროშის ქვეშ?

ერთ ერთის არჩევანი უსათუოდ უნდა მოხდეს.

და აი მემარცხენე ფედერალისტების წინაშეც ასე დაისვა კითხვა მთელი თავისი სიმწვავით.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვინდა ამით იმის თქმა, თითქოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები დღემდის კონტრ-რევოლიუციის ბანაკში იმყოფებოდენ. არა, მათ შეიძლება სხვაზე უწინ შეიგნეს არსებული ხელისუფლებასთან შერიგების და მასთან თანამშრომლობის აუცილებლობა მშრომელთა ინტერესების თვალსაზრისით, მაგრამ ცალკე პარტიის არსებობა რაღაც გაუგებრობას ქმნიდა, და ამ გაუგებრობას უნდა ბოლო მოღებოდა. არ არის მიზანშეწონილი ძალების დაქსაქსვა იქ, სადაც მათი გაერთიანება შეიძლება და შეკავშირება. რევოლიუციის ინტერესები არ მოითხოვს იმას, რომ ერთი და იგივე შინაარსის ფორმულა ორ თანამზგავს პარტიაში ილეჭებოდეს.

მომენტი მკაცრად გვიკარნახებს სრულ და მჭიდრო გაერთიანებას—და გაერთიანება უნდა მოხდეს, რათაც არ უნდა დაჯდეს ის. სოციალისტ-ფედერალისტებისათვის შეიძლება სხვაზე ძნელი იყოს მისვლა იმ პარტიასთან, რომელიც მეცნიერულ მარქსიზმის დროშის ქვეშ მუშაობს, რომლის პროგრამა და ტაქტიკა მარქსისტულ-მატერიალისტული სისტემაზეა აგებული.

შეიძლება ძნელი იყოს მისვლა იმ მარქსისტებთან, რომელთა უნიადაგობაზე სოციალისტ ფედერალისტები 25 წელს გაიძახოდენ. მაგრამ ისტორიამ დაამტკიცა მარქსიზმის ცხოველმყოფელობა და ისიც, რომ „სოციალიზმის დამყარება მარქსისტული დროშით უნდა მოხდეს".

ისტორიამ დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტი დაცვა და ხელმძღვანელობა რევოლიუციონურ ბრძოლაში მშრომელ მასისა მხოლოდ რევოლიუციონური მარქსიზმის გზით შეიძლება, და დღეს ყველა იმათ, ვისაც სურს ამ დროშის ქვეშ შესვლა, უნდა უსათუოდ დასტოვოს ძველი აზრები, ძველი უთანხმოება და ეზიაროს რევოლიუციონურ მარქსიზმს, ვინც რევოლიუციის და მშრომელი მასსის ინტერესებს შეიგნებს, რევოლიუციონურ მარქსიზმსაც მიიღებს, შეითვისებს, ვინაიდგან რევოლიუცია და მარქსისტული დროშა თანამგზარებია.

ჩვენ მივესალმებით მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ყრილობას, ვუსურვებთ მას მომავალში კომპარტიის, მარქსიზმის დროშის ქვეშ გაერთიანებას მშრომელ მასსასთან შედუღებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რევოლიუციის ინტერესებისათვის—სოციალისტ-ფედერალისტები ბევრს დასთმობენ და განუყრელათ გვერდში ამოუდგებიან მებრძოლ პროლეტარიატს.

ამას გვიკარნახებს მომენტი".

## მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონური როლი საერთაშორისო რევოლიუციაში

საერთაშორისო რევოლიუციის პირველი მერცხალი ეს იყო 1917 წლის ივლისის აჯანყება პეტროგრადში და მოსკოვში, რომელიც მოაწყო ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით პეტროგრადის და მოსკოვის მუშებმა. 1917 წლის ივლისის აჯანყების ლოზუნგები ნათლად მოწმობენ, რომ ამ აჯანყების დაწყების დღიდან დაითესა საერთაშორისო რევოლიუციის ის მადლიანი თესლი, რომლის აღმოსაფხვრელადაც საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციამ აუარებელი ოქრო, ძალა და სისხლი დახარჯა და რომელიც მიუხედავად მის წინააღმდეგ მიღებულ ზომებისა მისი დათესვის პირველ ადგილას დიდი ხანია ამოვიდა, გაიზარდა, მომწიფდა და ისე მოიდგა ფესვები, რომ მისი ფესვებიდან ევროპის ხან ერთ ადგილას ამოჰყოფს თავს მისი კოკობი და ხან მეორე ადგილას.

მთელი ძალა უფლება საბჭოებს, მრეწველობის ნაციონალიზაცია, ბურჟუაზიის განდევნა სახელმწიფო მართვა-გამგეობიდან და სხვა, აი რა იყო უმთავრესი ლოზუნგები ივლისის აჯანყებისა. ეს ის ლოზუნგებია, რომლებიც შეადგენენ სულსა და გულს საერთაშორისო რევოლიუციისას, სულსა და გულს საბჭოთა წყობილებისას, სულსა და გულს ყველა იმ პროლეტარულ აჯანყებათა, რომლებსაც თითქმის ყოველ კვირა აქვს ადგილი დღეს ევროპის ხვა და სხვა კუთხეში.

ეს პირველი აჯანყება დაწყებული რუსეთის პროლეტარიატისაგან ძალა უფლების ხელში ჩასაგდებად დამარცხდა და დამარცხდა არა ბურჟუაზიის მიერ, არამედ იმ მუშათა კლასის მოღალატე პარტიის მიერ, რომელიც თავის თავს მუშათა პარტიას ეძახდა. 1917 წლის ივლისის აჯანყების ჩაქრობა, ეს იყო ს.-დემოკრატიის პირველი ისტორიული ღალატი, რომელიც მან ჩაიდინა მუშათა კლასის მიმართ. შავი ასოებით არის აღბეჭდილი ეს ს.-დემოკრატიის პირველი ღალატი რუსეთის დიდი რევოლიუციის ისტორიის ფურცლებზე. მძიმე გულის ტკივილით და ულრმესი განცვიფრებით აღნიშნა მაშინ ს.-დემოკრატიის ეს შავი საქმე ყველა მუშათა კლასის მეგობარმა, მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენ მოწამენი ვართ ამ ღალატის მეათასეჯერ განმეორებისა, სრულებით არ იწვევს ჩვენში განცვიფრებას ამ შავი პარტიის ეს მძიმე დანაშაული. არა, ჩვენ შევეჩვიეთ, ჩვენ ვიცით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ს.-დემოკრატია გაჰყიდის მუშათა კლასს, რომ ის ზურგიდან მახვილს ჩასცემს ყოველთვის მას და საკითხის ამ მხრით გარჩევას ჩვენ დიდი ხანია თავი დავანებეთ. ჩვენ ეხლა საკითხს მხოლოდ იმ მხრით ვარჩევთ რომ შესძლებს თუ არა ეს პარტია ამა თუ იმ პირობებში მორიგი ღალატის „სასურველად" დაგვირგვინებას, შესძლებს თუ არა ის ამ ღალატით მუშათა კლასის მორიგ დამარცხებას.

ეს უბრალო სიტყვები არ არის. ეს რევოლიუციის ისტორიის ფურცლებიდან ამოკრეფილი ნამდვილი ამბავია, ეს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული ცოცხალი ფაქტია; ამ ამბავის, ამ ფაქტის დამამტკიცებელი საბუთების საძებნელად დიდი ხნით ისტორიის არქივში ქექვა არავის დასჭირდება. აიღეთ თქვენ ბავარიაში და უნგრეთში საბჭოთა წყობილების დამხობა, კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსენბურგის სიკვდილი, ბოლგარეთში აჯანყების ჩაქრობა საქსონიის და ტიურინგიის უკანასკნელი ამბები, ყველა ეს ნაყოფია ს.-დემოკრატიის მენშევიკური „მ ღვაწეობისა", ყველა ეს გამოწვეულია ამ პარტიის მუხანათური ღალატის მიერ. მაგრამ ამით ყველაფერი გათავებული არ არის, ყველა იმით რაც ჩაიდინეს, მენშევიკები არ კმაყოფილდებიან და ყოველ დღე უმატებენ თავიანთ ძველ „საგმირო" საქმეებს ახალ ახალ დანაშაულს.

გერმანიაში ბრძოლა პროლეტარიატს და ფაშისტურ შავ ძალებს შორის დღითი დღე მწვავდება. რევოლიუციონური პროლეტარიატი კომპარტიის ხელმძღვანელობით უკანასკნელ ძალებს იკრებს, რათა გაუმკლავდეს მოზღვავებულ მტერს, ის სცდილობს შექმნას ამ ბრძოლის ხელსაყრელ პირობებში საწარმოებლად დასაყრდენი ბაზები. ამიტომ ის ჰქმნის საწარმოვო ცენტრებში საქსონიაში და ტიურინგიაში მუშურ მთავრობას, რომელშიაც შედიან ს.-დემოკრატები და კომუნისტები. პროლეტარიატს ჰგონია, რომ მას ზურგი გამაგრებული აქვს და ის ემზადება შეტევისათვის მაგრამ... ციხე შიგნიდან ტყდება. საქსონიაში მოხდა მუშური მთავრობის ჩამოგდება თვით ს.-დემოკრატებისაგან გამომუშავებული წინასწარ გეგმის თანახმად. ტიურინგიაში შევიდა კონტრ-რევოლიუციონური რეიხსვერის ჯარი სოციალ დემოკრატ მინისტრების ინიციატივით.

პოლონეთში მდგომარეობა მეტის-მეტად გამწვავებულია. გაფიცვის ტალღამ გადაიარა პოლონეთის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე, ძველ, შავი პანების პოლონეთი შეირყა, ჰაერი შეიკუმშა, ერთო ბრძოლის ნაპერწკალი და პოლონეთის ერთ-ერთ საწარმოვო ცენტრში კრაკოვში მუშებმა ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება. მაშინ შიშის ჟრუანტელმა აი-

ტანა პოლონეთის რეაქციონური ბურჟუაზია, მაგრამ ბურჟუაზიაზე უფრო ადრე პოლონეთის რეაქციონური მენშევიკური პარტია შეშინდა და შეუდგა მთელ პოლონეთში საგაფიცვო მოძრაობის ლიკვიდაციას.

პოლონეთში, სადაც მუშათა კლასი ქუჩაშია გამოსული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის საწარმოებლად, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მენშევიკები „ჯანყაცურად" მუშაობენ და მუშებს ქუჩიდან ქარხნებში ერეკებიან ბურჟუაზიის სასარგებლოდ სამუშაოდ, გერმანიაში კი, სადაც მონარქისტული გადატრიალება უკვე მომხდარი ფაქტია და სადაც ვილჰელმის აჩრდილ იმპერატორის ტახტზედ ასასვლელად ემზადება, მენშევიკები სოროებში არიან შემძვრალნი და თავისი უმოქმედობით ხელს უწყობენ გერმანიის მონარქისტულ რესტოვრაციას.

ეს ფაქტები აშკარად ლაღადებენ, რომ მენშევიკური ს.-დემოკრატია გაიხრწნა, ჩალპა როგორც რევოლიუციონური მიმართულება და თუ ის კიდევ არსებობს, არსებობს არა როგორ სოციალისტური, არამედ როგორც კონტრ-რევოლიუციონური, შავი ძალა, რომელიც თავის არსებობით ხელს უწყობს ყველგან რეაქციის გაძლიერებას და რევოლიუციის დამარცხებას. არსად, დედამიწის არც ერთ კუთხეში თანამედროვე მენშევიზმი არ წარმოადგენს პროგრესიულ მოვლენას, არამედ ის არის აზროვნების რეაქცია, ის არის ყველგან კონტრ-რევოლიუციონური მოვლენა, ის წარმოადგენს ყველგან ბორკილს საერთაშორისო მუშათა კლასისას, ის წარმოადგენს საერთაშორისო რევოლიუციისათვის ხელის შემშლელ ორგანიზაციას და რამდენადაც უფრო ადრე მოისპობა ის, იმდენად უფრო გაუადვილდება საერთაშორისო პროლეტარიატს ბრძოლის წარმოება, იმდენად უფრო ადრე გაიმარჯვებს საერთაშორისო რევოლიუცია.

ი. ვადაჭკორია.

# ვისთან უნდა ვიყოთ

ამ ექვს ნახევარი წლის წინათ რუსეთის მშრომელმა ხალხმა მოსპო ნიკოლოზ მეორის თვითმპყრობელობა და მის ტახტს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ცხოვრების საჭე ჩაიგდეს ხელში კაპიტალისტ მემამულეებმა და კიდევაც შეუდგენ სახელმწიფო საქმეების მოწყობას თავის, ბურჟუაზიულ გემოვნებაზე. მეფის მთავრობა შესცვალა მეორემ, რომელიც არსებითად პირველის გზას დაადგა და მშვიდობიანობის ნაცვლად ხელ ახალი ომები, სისხლის ღვრა და განადგურება მოგვიტანა. როგორ შეხვდენ კერენსკის მთავრობის ასეთ მუხანათურ პოლიტიკას რუსეთის მუშები და გლეხობა? რა თქმა უნდა უარყოფითად. მათ არ მოინდომეს ხელახალი მონობა, რომელსაც მას უმზადებდენ და იმავე წლის ოქტომბერში წესი აუგეს მათ ბატონობასაც. მთელი ძალა-უფლება მუშებისა და გლეხების მიერ არჩეულ საბჭოების ხელში გადავიდა და ეს უკანასკნელნიც შეუდგენ თავის ამრჩევლების ინტერესების ცხოვრებაში განაღდებას.

მაგრამ იაფად არ დაჯდომია რუსეთის მშრომელ ხალხს თავის ბატონობის გამტკიცება. აშკარაა რომ გაბატონებული კლასი კაპიტალისტ-მემამულეებისა ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდა თავის ბატონობის დამხობას და ყოველ ზომებს იხმარდა მუშურ-გლეხური მთავრობის დასამხობად, თავის ძალა უფლების აღსადგენათ. ასეც მოხდა. რუსეთის კონტრ-რევოლიუცია ევროპის ბურჟუაზიით ზურგ გამაგრებული მთელი სამი წლის განმავლობაში ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას და ჰლამობდა ოქტომბრის რევოლიუციის სისხლის მორევში ჩაღრჩობას. ეს სამოქალაქო ომის პერიოდია. სადაც ერთი მხრივ იბრძვის ნიკოლოზის არმიის ოფიცრების მიერ შემდგარი რაზმები ძველი გენერლების მეთაურობით და მეორე მხრივ მუშები და გლეხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ამ საბედისწერო ბრძოლაში არა ერთხელ ჰქონია გასაჭირი საბჭოთა მოსკოვს მაგრამ, მიუხედავათ ასეთი შავი დღეებისა, წითელმა მებრძოლებმა მაინც შესძლეს შავი ყორნების დამარცხება და კონტრ-რევოლიუციონური ბანდების საბოლოოდ აღმოფხვრა. გაუცრუვდა იმედები ევროპის ბურჟუებს (ამ კულტურულ მხეცებს), დამარცხდენ რუსეთში შავი ცხოვრების მოტრფიალენი და ისინი დღეს აჩრდილთა სამყაროს ეკუთვნიან.

გაიმარჯვა ოქტომბრის რეოლიუციამ და დიდი რევოლიუციის მონაპოვარი საბოლოოდ ჩაიბარა მშრომელმა ხალხმა დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების ექვსი წლის თავს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრის გაკეთება შესძლო მისი (რევოლიუციის) სულის ჩამდგმელმა კომუნისტურმა პარტიამ.

კომუნისტური მთავრობის საქმიანობის შესაფასებლათ უნდა გათვალისწინებულ იქნას ის მძიმე პირობები, რომელშიდაც მას უხდებოდა მოღვაწეობა. ეს ხელის შემშლელი პირობები დღიდან საბჭოთა ხელისუფლების არსებობისა მრავლათ მრავალია და ჩვენ მიუთითებთ მხოლოთ ზოგიერთ მთავარზე.

ხუთი წლის იმპერიალისტურმა ომმა, რომელსაც მეფის და კერენსკის მთავრობა აწარმოებდა, სრულიათ შთანთქა საუკუნოებით დაგროვილი სიმდიდრე. მილიონი მუშა და გლეხი მიწის დამუშავების მაგივრად ზარბაზნის ხორცად ხდებოდა და ჯან-საღი ახალგაზრდობის ლეგიონები თავის მყვლეფლების ინტერესებს ეწირებოდა. ფაბრიკები და ქარხნები სულ ყველგან, იმის მაგივრათ, რომ გუთნები, ლურსმანი და სხვა სამეურნეო ან სამრეწველო მანქანები ეკეთებიათ, ყუმბარების, გრანატების, ტყვიის და ადამიანების გამნადგურებელ იარაღების მზადებას უნდებოდენ. აი რაში იფლანგებოდა ხალხის სიმდიდრე და რას ხმარდებოდა მისი დრო და ენერგია. სპეციალისტების მთელი გონებრივი ენერგია მიმართული იყო განადგურებისა და შემუსვრის იარაღების გამოგონებისაკენ. და ეს გრძელდებოდა არა ერთი, ორი, არამედ ხუთი წელიწადი. სწორედ ეს იყო მიზეზი რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიურად დაცემისა. ამ უჩვეულო ომმა გაანადგურა რუსეთის მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა, რამაც მშრომელ ხალხს აუტანელ გაჭირვებაში ამოაყოფინა თავი. ამას თუ დავუმატებთ სამოქალაქო ომს, რომელსაც რუსეთის პროლეტარიატი აწარმოებდა თავისი ყოფილი ბატონების წინააღმდეგ, სტიქიურ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა რუსეთის ხალხს სიმშილის სახით, სამხედრო მდგომარეობას, რომელშიდაც იმყოფებოდენ საბჭოთა რესპუბლიკები, რადგან საზღვარგარეთელი ბურჟუაზია ყოველთვის ომით იმუქრებოდა რევოლიუციას, შემდეგ, საბჭოთა ქვეყნების სხვა სახელმწიფოებიდან გამიჯვნას, იზოლიაციურ მდგომარეობაში ყოფნას, რაც ფაქტიურად დღემდის გრძელდება, მაშინ ჩვენთვის აშკარა გახდება ის დამაბრკოლებელი მიზეზები, რომლებიც წინ ეღობებოდენ საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედებას და ხელს უშლიდენ ჩვენი აფორიაქებული ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას.

აი ასეთ პირობებში გაკეთდა მაქსიმუმი იმისა, რის გაკეთებაც შეიძლებოდა. დღეს, პოლიტიკური ქინით დაბრმავებულ მოქალაქის გარდა, ყველასათვის აშკარაა კომპარტიის მუშაობის ნაყოფიერება სამეურნეო და სამრეწველო დარგებში, მიწის საკითხის მოგვარებაში, ნაციონალური საკითხის სისწორით გადაჭრაში და სხვა.

მხოლოდ კომუნისტებმა შესძლეს ეროვნული საკითხის სწორ ნიადაგზე დაყენება, რის შემდეგ ძირიან ფესვიანათ აღმოფხვრა ის შუღლი და მტრობა, რომელიც სუფევდა პატარა ერებს შორის, თუნდაც ჩვენ ნეტარ ხსენებულ მენშევიკების დროს ამიერ კავკასიაში და კერძოთ საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლების დროს შესაძლებელი შეიქნა ამ ერების შერიგება, ერთმანეთთან თანამშრომლობა, შეკავშირება, რაზედაც კომუნისტურ მთავრობამდე მხოლოდ ვოცნებობდით.

მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება კომპარტიის მოქმედების არე. მას ერთი წუთითაც არ დავიწყებია მსოფლიო რევოლიუციის საქმე. ის თუ იბრძვის, ერთის მხრივ, ეკონომიურ ფრონტზე, მეორე მხრავ მისი მხედველობის ისარი ევროპის რევოლიუციისაკენ არის მიბჯენილი.

დიდი გულის ყურით ეკიდება ყოველ მოვლენას, ღრმა ანალიზს უკეთებს შექმნილ მდგომარეობას და მას რევოლიუციისათვის ხელსაყრელ მიდრეკილებას აძლევს.

მაშ რით აიხსნება გერმანიის კომპარტიის სიმძლავრე, რომელიც დღეს ევროპის ბურჟუაზიის ყურადღებას იპყრობს და შიშის ზარსა ჰკვრის მას და არა მარტო გერმანიის, არამედ ბოლგარეთის, სკანდინავიის, პოლონეთის და სხვა კომუნისტური პარტიების დარაზმვა, თუ არა კომუნისტური ინტერნაციონალის თავდადებული მუშაობით?

გამარჯვებულმა ანტანტამ გერმანია განადგურებამდე მიიყვანა. მისი სამრეწველო რაიონები საფრანგეთმა თავის ახალშენებად გადააქცია და ბერლინზე გალაშქრებასაც კი ფიქრობდა. ხალხი გმინავს საოკუპაციო ხელისუფლების ქვეშ. მღელვარება იზრდება. ოკუპანტები მეამბოხეთ ტყვიისფრქვევლებით უმასპინძლდებიან. კომუნისტები სასტიკ დევნას განიცდიან რას აკეთებს ამ დროს სრულიად გერმანეთის მთავრობა? არაფერს. მან ვერ შესძლო ოკუპანტებისათვის პასსიური წინააღმდეგობის გაწევაც კი და იძულებული შეიქნა ბრძოლის ამ იარაღზედაც აეღო ხელი. გერმანია დაეცა პოლიტიკურად, დაეცა ეკონომიურად. იზრდება უკმაყოფილება მუშათა წრეებში. შტრეზემანის მთავრობას არ ძალუძს შექმნილ მდგომარეობიდან თავის დაღწევა. იქმნება საუკეთესო პირობები გერმანეთის რევოლიუციისათვის და ჩვენ ვხედავთ რუსეთის კომპარტიას, რომელიც ხელს უწყობს ამ პირობების გაღრმავებას, გერმანიის კომუნისტების დარაზმვას და მათ ეკონომიურათ გაღონიერებას. გერმანეთის სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვება, მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებას ნიშნავს და კომპარტიის ყურადღების ცენტრი სწორეთ აქეთ უნდა იყოს გადმოტანილი, რათა უზრუნველვყოთ მისი გამარჯვება.

დღეს საბჭოთა [illegible] ექვსი წლის თავი [illegible] განკარგულებაში [illegible] რევიზიას.

ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ შექმნილი მდგომარეობის სირთულე და ყოველთვის მზათ უნდა ვიყოთ მსოფლიო მტაცებლების დავდასხმის მოსაგერებლათ.

ფაშიზმი და ბოლშევიზმი, აი ეს ორი ძალა, რომელიც გადამჭრელ ბრძოლისათვის ემზადებიან და ერთი მეორის განადგურებაზე ფიქრობენ.

ფაშიზმის გამარჯვება ნიშნავს ძველი ცხოვრების რესტოვრაციას და შრომის მონობის ბორკილებში გახვევას, კომუნიზმის გამარჯვება კი ანიჭებს ხალხს თავისუფალ შრომას და მიჰყავს ის შრომის სამეფოსაკენ.

ამ ორ მებრძოლ ძალების შორის მდგომ[არე] პარტიები სასიკვდილოთ არიან განწირულნი. ისინი, სანამ გადამჭრელი ბრძოლა მოხდებოდეს, უნდა მიეკედლონ ან ერთს ან მეორე მხარეს, ან არა და გაისრისონ ამ ორ გიგანტთა შორის ბრძოლაში. ეს ორი გამოსავალი გზაა დარჩენილი და ორივეს ეს პარტიები თვით მოსპობამდე მიყავს.

საინტერესო იყო ამ მხრივ ჩვენი პარტიის ბედიც.

ჯერ კიდევ პარტიის პირველმა ყრილობამ შესაფერისი პასუხი გასცა ამ კითხვას და ჩვენი გზა საკმაოდ ნათელ ჰყო. ჩვენ მაშინ მივიღეთ კომუნისტური ინტერნაციონალი და შეგნებულათ დავსდექით საბჭოთა სისტემის ნიადაგზე. მეორე სიტყვა პარტიის მეორე ყრილობამ სთქვა, რომელმაც საბოლოოთ გამოარკვია ჩვენი პარტიის ბედი და დაუკავშირა ის საერთაშორისო კომუნიზმს.

სხვა გზა არ არსებობს ან ფაშისტებთან, ა[ნ] კომუნისტებთან. დღეს კომპარტიიდან განზე დგომ[ა] არსებითად რეაქციის საქმის კეთებაა და ღალატია ჩვენი რწმენის, ჩვენი მიზნების. დღეს უნდა დაუმ[ტ]კიცოთ ყველას, რომ ჩვენ მარტო სიტყვით კი არ[ა] ვართ კოპპარტიასთან, არამედ საქმით, რომ მშრომელ ხალხთან ჩვენ ერთად ვართ ჭირშიც და ლხინშიც.

მაშ შევავსოთ და გავამაგროთ კომპარტიის რიგები და ამით უზრუნველვყოთ მისი გამარჯვებ[ა] ამას გვიკარნახებს რევოლიუციონური სინდისი, აქ[ე] მოგვიწოდებს ჩვენი წმინდათა წმინდა მოვალეობა.

მ. ნოზაძე.

# პრესის მიმოხილვა

(„ზაკროსტას" ცნობები 10 ნოემბრიდან.)

**„მთლიანობა ნებისა და მთლიანობა ხელ[ის]მძღვანელობისა".**

მოსკოვში „ცენტროსოიუზის" რწმუნებულთა ყრილობაზედ ამხ. ბუხარინმა გააკეთა მოხსენე[ბა] საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

„ჩვენს ყურადღებას იპყრობენ შემდეგი ამბ[ე]ბი: სამოქალაქო ომი გერმანეთში და სამოქალაქ[ო] ომის დასაწყისი პოლონეთში. არ შეიძლება ითქვა[ს] რომ ხსენებული ამბები გახდება ის გამოსავალ წე[]რტილად, რომელსაც მოჰყვება მთელი რიგი განუწყვეტელ ამბებისა, რომლებიც მუშათა კლასს მიიყვანენ გამარჯვებამდე. გერმანეთის ამბების მსვ-

# მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის მეორე ყრილობა

**მეორე სხდომის გაგრძელება**

თავმჯდომარეობს ამხ. **ი. გედევანიშვილი.**

ამხ. თედო ღლონტი კითხულობს **რეზოლიუციას კომპარტიასთან დამოკიდებულების შესახებ:**

1. საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია 1921 წლის 6 ივნისის კონფერენციის (მე-6) შემდეგ, ხოლო, როგორც პოლიტიკური ძალა პირტიაში ხსენებულ დრომდე მტკიცედ იდგა საერთაშორისო რევოლიუციის ნიადაგზე და მთელი თავისი მუშაობით ზურგს უმაგრებდა საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლ ძალებს.

2. დიქტატურისა და საბჭოთა წყობილების უფლებრივ ნორმად აღიარება, როგორც ერთად ერთი პოლიტიკურ-ნორმატიული ფორმა გარდამავალ პერიოდიდან სოციალისტურ წეს-წყობილებაში გადასასვლელად, მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიას ფაქტიურად აყენებდა მე 3 კომინტერნის პლატფორმაზე და უკავშირებდა მას კომუნისტურ პარტიას.

3. საერთაშორისო რევოლიუცია რამდენიმე პოლიტიკო-ეკონომიურ ეტაპს გულისხმობსა თავის განვითარების პროცესში: გამაგრებას რუსეთის რევოლიუციის, რუსეთის ყოფილ სახელმწიფოს ნიადაგზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ და ავტონომიურ ერთეულების პოლიტიკურად დაკავშირებას და საალმშენებლო მუშაობის გაჩაღებით სისტემატიურად გადასვლას საერთაშორისო ცხოვრების მასშტაბში აქტიური რევოლიუციონური პოლიტიკის წარმოებისაკენ.

4. რუსეთის რევოლიუცია აღორძინდა, როგორც ნაციონალური რევოლიუცია, მაგრამ ყოველი ნაციონალური მოძრაობა თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების პირობების გამო თავის და უნებლიედ ხდება საერთაშორისო მოძრაობად. მსოფლიო ომის და რუსეთის რევოლიუციის შემდეგ ავსტრო-უნგრეთის რევოლიუციონური გარდატეხა, უნგრეთში საბჭოთა წყობილების განმტკიცების ცდა 1918—9 წ., 1923 წელში ბულგარეთის რევოლიუციონური [illegible] კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით, ხოლო გერმანეთის თანამედროვე სოციალისტური რევოლიუციის პროცესი სრული გამოხატულებაა ევროპის მასშტაბით გაჩაღებულ საერთაშორისო რევოლიუციისა.

5. საერთაშორისო რევოლიუციის მოძრაობაში ორი პოლიტიკურ-ტერიტორიალური მომენტია აღბეჭდილი. პოლიტიკური ბრძოლა უკვე სავსებით გამორკვეულია და ჩამოყალიბებული მსოფლიოს პირველ საკავშირო სოციალისტურ რესპუბლიკაში — რუსეთში, ხოლო ასეთივე ბრძოლა სწარმოებს თვით შიდა ევროპის მომქმედ პოლიტიკურ ძალებში. ევროპის პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა განვლონ ყველა ის ეტაპები, რომელნიც განვლეს რუსეთში მომქმედმა პარტიებმა. ეს გარდუვალი ისტორიული პროცესი სავალდებულოდ ხდის ორ გარემოებას:

ა. სრულს გაერთიანებას საერთაშორისო რევოლიუციის ნიადაგზე მდგომ პოლიტიკურ პარტიებისას რუსეთში.

ბ. მთლიან ფრონტის იდეას ევროპაში, სადაც ჯერ კიდევ ნაადრევია ყველა სოციალისტური პარტიების სრული გაერთიანების სასარგებლოდ სათანადო მუშაობის წარმოებას კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით.

6. რუსეთის რევოლიუცია ზოგადად, ხოლო საკავშირო კომუნისტური პარტია ერთად ერთი „რეზერუარია" მსოფლიოს რევოლიუციის. თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური მომენტი აუცილებლად მოითხოვს გადამჭრელ ბრძოლებში ყველა საიმედო სოციალისტური ძალების სავსებით გამოყენებას, მათი რკინის დისციპლინის ქვეშ დაყენებას, რისთვისაც საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიის ყრილობა ადასტურებს პარტიის მთავარ კომიტეტის „და ამა წლის 21 ოქტომბრის პარტიულ კონფერენციის დადგენილებას ხსენებულ პარტიის გაერთიანების შესახებ კომუნისტურ პარტიასთან.

7. საქართველოში გასაბჭოების პირველსავე ხანაში ყველა პოლიტიკური პარტია დადგა შავრაზმულ რეაქციის ფრონტზე. მხოლოდ საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარტია მთელი თავისი ძალებით თავიდანვე ჩადგა საბჭოთა წყობილების მწკრივში და სავსებით აიტანა ის ბრძოლა, რომელსაც პარტიის და სახელმწიფოს წინააღმდეგ აწარმოებდნენ რეაქციონური ელემენტები.

8. საერთაშორისო ფაშიზმი მე—II ინტერნაციონალის ლოცვა-კურთხევით ცდილობს ჩააღრჩოს საერთაშორისო რევოლიუციის ყველა მონაპოვარი. საქართველოშიაც არსებობენ, შეგნებული თუ შეუგნებელი მიმდევარნი ფაშისტური მოძრაობისა, რომლის ნიადაგის აღმოფხვრა კომპარტიასთან ერთად პარტიას მიაჩნდა უმთავრეს თავის მოვალეობად.

9. 2 წლის და 9 თვის პოლიტიკურ-ეკონომიურმა მუშაობამ კომპარტიასთან საქ. მემარცხენე ს.-ფ პარტიას შეუქმნა გაერთიანების მძლავრი ტენდენცია და ტრადიცია, რაიცა იხატებოდა ყველა ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებში კომპარტიასთან სრულის იგივეობით მუშაობაში და ბუნებრივად იწვევდა მთლად გაერთიანების საკითხის დასმას. ეს სტიქიური მიმართულება პარტიაში, რომლის შედეგი იყო პარტიის ორგანოებში მთავარ კომიტეტის ინიციატივის გარეშე წევრების მიერ კომპარტიასთან გაერთიანების საკითხის დასმაში, სავსებით ეგუება თანამედროვე მომენტს და ამიტომ ყრილობა წინადადებას აძლევს თავის ორგანოებს მთელი თავისი ქონებით, შემადგენლობით გადავიდეს კომუნისტურ პარტიაში.

10. ხსენებული დადგენილების ცხოვრებაში გატარება, ქონების გადაცემის პირობების გამომუშავება ევალება პარტიის მთავარ კომიტეტს.

11. აღნუსხულ დადგენილების ცხოვრებაში გატარება უნდა მოხდეს რეზოლიუციის გამოცხადების დღეიდან ერთი თვის განმავლობაში.

12. პარტიის გაერთიანების მოდუსი შემუშავებულია ყრილობის ცალკე დადგენილებაში და გადაეცეს მთავარ კომიტეტს სახელმძღვანელოდ და ასასრულებლად.

რეზოლიუცია იქმნა ერთხმად მიღებული.

ყრილობამ საპატიო თავმჯდომარეებად აირჩია ამხ. ლენინი, სტალინი, ორჯონიკიძე, ცხაკაია, მახარაძე, ფანცხავა, კაკულია. ამის გამო, ყრილობის პრეზიდიუმმა ამხ. სტალინს გაუგზავნა მოსკოვში შემდეგი დეპეშა: მოსკოვი, კრემლი, სტალინს მემ. სოც.-ფედ. პარტიის სრულიად საქართველო[ს] მეორე ყრილობამ აგირჩიათ რა თქვენ და ამხ. ლ[ე]ნინი თავის საპატიო თავმჯდომარეებად თქვე[ნის] სახით ესალმება რევოლიუციონურ პროლეტარ[იატს] და ადგენს ჩადგეს კომპარტიის მჭიდრო მწკრ[ივ]ში კაპიტალისტურ წყობილების ნაშთების ლიკ[ვი]დაციისა და სულთამობრძავ საერთაშორისო ბუ[რ]ჟუაზიის ფაშისტურ რაზმების და მის მიმყოლ [მე]ორე ინტერნაციონალის მოღალატე სოციალის[ტე]ბის გასანადგურებლად.

გაუმარჯოს ამხ. ლენინს და კომუნის[ტურ] პარტიას.

ყრილობის პრეზიდიუმი.

ამხ. სერგო ორჯონიკიძეს, მიხა ცხაკაიას [და] ფ. მახარაძეს გაეგზავნა შემდეგი დეპეშა: მემ. სო[ც.] ფედ. სრულიად საქ. მე—2 ყრილობამ ამოგირჩ[ი]ა თავის საპატიო თავმჯდომარეებად თქვენის [სა]ხით მიესალმება კომუნისტურ პარტიას, ერ[თად] ერთ მებრძოლს მსოფლიოს მუშათა კლასის გან[თა]ვისუფლებისა. ყრილობა ავალებს თავის წევრ[ებს] შემოკრბენ კომპარტიის რიგებში, მთელი თა[ვისი] ძალ-ღონით განამტკიცონ საბჭოთა წყობილ[ების] საფუძვლები და კომპარტიის ხელმძღვანელო[ბით] იბრძოლონ საერთაშორისო რევოლიუციის საბოლ[ოო] გამარჯვებისათვის.

ყრილობის პრეზიდიუმი.

ბოლოს ყრილობა მთავარ კომიტეტის არ[ჩევა]ნებზე გადავიდა. ამხ. თედო ღლონტის წინადა[დე]ბით მთავარ კომიტეტის ძველი შემადგენლობა [] უცვლელად იქნა დატოვებული.

ყრილობის დასასრულს გამოსათხოვარ [სი]ტყვას ამბობს ყრილობის თავმჯდომარე ამხ. ი. [გე]დევანიშვილი.

იგი ვრცლად ეხება საერთაშორისო მდგ[ომა]რეობას და აღნიშნავს იმ პირობებს, რომელ[შიც] უხდება ბრძოლა ევროპის მუშათა კლასს. ამხა[ნაგი] ამბობს: პარტიის მიერ აღებული გეზი უნდა [] თვალის ყველა ჩვენთვის და უკმაყოფილებ[] ყოველმა ამხანაგმა ყოველთვის მაღლა უნდა []

ლელობამ გვასწავლა ჩვენ ფრთხილად გამოვიყვანოთ ხოლმე ჩვენი დასკვნები დროს შესახებ. მაინც გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ უახლოესი წელიწადი მეტად მღელვარე წელი იქნება.

გერმანეთის ეკონომიური ცხოვრება საბოლოოდ დაინგრა. მისი აღორძინება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ პირობით, რომ გაჯანსაღდეს მისი ფინანსიური სისტემა და გარედან მიჰდიოდეს დამატებითი კაპიტალი. მაგრამ სესხს ამნაირ მდგომარეობაში მყოფ გერმანეთს არავინ მისცემს.

გერმანეთის მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება იმ შემთხვევაშიაც კი, რომ დაარსდეს იქ მაგარი ფაშისტური მთავრობა: მიუხედავად საფრანგეთისადმი მიმართულ ფაშისტების ალერსისა, საფრანგეთი ამ უკანასკნელთ ფულს მაინც არ მისცემს ვერავითარი კომბინაციის მთავრობაში, რომელიც დამყარებული იქნება ბურჟუაზიულ საბუძვლებზე, ვერ შეუძლიან უზრუნველჰყოს გერმანეთისათვის უცხო კაპიტალის მიღება, ეს არის მიზეზი, რომ გერმანეთში რევოლიუცია აუცილებელია, როგორც აუცილებელია მუშათა კლასის გამარჯვება ახლო მომავალში.

გერმანეთი უკვე იმყოფება სამოქალაქო ომის ხანაში, როდესაც ყველა ძალები თავმოყრილია ორ ...წინაალმდეგე პოლიუსებზედ, ხოლო საშუალო ...მოკრატიული ნაწილი იყოფა ნაწილებად და ...რგავს გავლენას გერმანეთში მხოლოდ ორი ...რთა არის: მემარცხენე—კომუნისტური და მემარ...ნე—ლიუდენდორფის ფაშისტური ძალები. გერ...თის რევოლიუციის პირობები მეტად ძველი და ...ართულია.

...გერმანეთი უმნიშვნელოა სიდადით, ხოლო ... დროს იგი გარშემორტყმულია ძლიერი მტრე... საფრანგეთის იმპერიალიზმმა უკვე შესდგა ... გერმანეთის მიწა-წყალზედ. შიგნით გერმანე...ი მუშათა კლასის წინაალმდეგ ბურჟუაზიას ჰყავს ...00.000 შეიარაღებული, სამხედრო წესებზედ დაწყობილი კაცი.

გერმანეთის მუშათა კლასს გამარჯვების მოპოება შეუძლიან მხოლოდ შეიარაღებული აჯანყებით, რომელსაც თან მოჰყვება გენერალური გაფიცვებით, რომლებიც მოადუნებენ სახელმწიფოსა და ბურჟუაზიის ძალას და უზრუნველჰყოფენ მუშათა კლასის გამარჯვებას.

ჰამბურგისა და საქსონიის ამბებმა ნათლად აჩვენეს გერმანეთის პროლეტარიატს, რომ საჭიროა გამოსვლა გადაიდოს რამოდენიმე ხანით, გერმანეთის კომპარტიის ამოცანაა გამოაშკარაოს მემარცხენე სოც.-დემოკრატების მოქმედება და ამით გასტეხოს ზღუდე, რომელიც ამართულა პროლეტარიატსა და ფაშიზმს შორის.

პოლონეთის ამბების გამო ამხ. ბუხარინი აღნიშნავს, რომ პოლონეთში გაიზარდა მრეწველობა და ექსპორტი, მაგრამ იგი იძულებულია აუარებელი ფული ხარჯოს სახელმწიფო აპარატსა და არმიაზედ. ამის შედეგები კი არის—რღვევა სახელმწიფოსა და ფულის მეურნეობისა, დაცემა პოლონეთის მარკის, სიძვირის ზრდა, დაცემა რეალური ხელფასისა. აქედან გამომდინარეობს სოციალური დაბრკოლებანი და სიძნელენი, რომელიც გამოიხატა მუშათა კლასის გამოსვლებში. ეტყობა, იმდენად რთული იყო პირობები, რომ „პეპეესი"—ჩვენებური მენშევიკებისა და ესერების კომბინაცია—იძულებული იყო გაეტარებინა საერთო გაფიცვა.

კრაკოვში მოძრაობამ გადააჭარბა საზღვრებს: გაფიცვა შემდეგ გამოიხატა შეიარაღებულ აჯანყებაში და მუშების მიერ მთელი ქალაქის ხელში ჩაგდებაში, რომელსაც თან სდევდა ჯარის ნაწილების მუშათა მხარეზე გადასვლა. ქალაქი ფაქტიურად მუშათა ხელში აღმოჩნდა. მაგრამ როგორც კი მოძრაობა გაიზარდა, „პეპეესმა" ჩაშალა ეს საქმე.

როგორ უყურებთ ჩვენ ამ ამბებს? გერმანეთის მუშების საქმის ჩვენთვის უცხო საქმედ ჩათვლა ჩვენ არ შეგვიძლიან, მაგრამ ამ პირობებში არც ის შეგვიძლიან, რომ გერმანეთის საქმეებში ჩვენ ჩავერიოთ სამხედრო შეტევის გზით. დიდი მოუფიქრებლობა იქნებოდა, რომ გამოვიდეთ ეხლა ჩვენ ახალი ომის დამწყებად, თუნდაც გერმანეთის რევოლიუციის სასარგებლოდ. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მშვიდობიანობის პოლიტიკა და იმავე დროს შეძლების დაგვარად ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ გერმანეთის მუშებს. მაგრამ, თუ საერთაშორისო ამბები განვითარდა იმრიგად, რომ შეგვეხო ჩვენც, თუ მტრულად განწყობილმა კაპიტალისტურმა ჯგუფებმა რომლებმაც იციან ჩვენი სიმპატია გერმანეთის რევოლიუციისადმი, ჩვენ ომი გამოგვიცხადეს, ამ შემთხვევისათვის უნდა წინასწარ მზად ვიყვეთ.

ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკა მოხერხებული ტაქტიკური მანევრები კი არ არის არამედ დიდი სტრატეგიული პლანი. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველაფერი, რომ დასავლეთ-ევროპის შერყევამ უომრად ჩაიაროს აქედან გამომდინარეობს საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი ტაქტიკა".

„ფაშიზმის შეტევა"

მოსკოვის გაზეთი „პრავდა" სწერს:

„პროლეტარიატთან ანგარიშის გასწორება შემდეგ გერმანეთის სოც.-დემოკრატია ზედმეტი შეიქმნა ბურჟუაზიისა და გენერლებისთვის.

უკვე წინ გვიდგა ლიუდენდორფის ცდა გამოეცხადებინა მთელს იმპერიაში ფაშისტური დიქტატურა, რომელმაც თვით ფაშისტთა შორის უთანხმოება გამოიწვია. სოც.-დემ. ებერტმა, ვითომც და ბავარიის ფაშიზმთან საბრძოლველად, დიქტატორად დანიშნა ბერლინელი ფაშისტი გენ. სექტი. ეს ისეთივე მანევრია, როგორიც იყო საქსონიასა და ტიურინგიაში ჯარების თავმოყრა, ვითომც და ბავარიის მონარქისტებთან საბრძოლველად.

ლიუდენდორფები, კარები და ებერტები ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ შრომის განაწილების საფუძველზედ. მემარჯვენეებმა წამოაყენეს შემდეგი პროგრამა: 1) შეიარაღებული ბრძოლა მარქსიზმთან, 2) სოციალ-დემოკრატების განდევნა მთავრობიდან და სახელმწიფო სამსახურიდან, 3) საერთო სამხედრო ბეგარის წამოყენება და 4) საფრანგეთთან კავშირის შეწყვეტა. ასეთ პროგრამას მნიშვნელოვანი შედეგები უნდა მოჰყვეს. თუმცა ფაშიზმი უფრო მტკიცე და მაგარი იქნება, ვიდრე სოც. დემოკრატიული დომხალი, მაგრამ ისიც აუცილებლად მოიტეხავს კისერს. უმოწყალო ჩაგვრა მუშათა კლასისა და ომის ორიენტაცია ვერ შეუწყობს ხელს შინაური საკითხების გადაწყვეტას, გერმანელი კოლჩაკები ვერ შეასრულებენ მუსოლინის როლს, რადგანაც გერმანეთის როგორც საერთაშორისო, ისე შინაური მდგომარეობა დიდად განსხვავდება იტალეთის მდგომარეობისაგან. ფაშიზმის შეტევა გერმანეთის კომპარტიას წინ უყენებს საკითხს, მოახდინოს ჯერ არ სმენილი ფართო მობილიზაცია მუშათა მასებისა და მოამზადოს ისინი ბრძოლისათვის. აუცილებლად საჭიროა მთლიანი ნებისა და მთლიანი ხელმძღვანელობის გამოჩენა."

---

აყენოს მიზნები და ნაკლები ანგარიში უნდა გაუწიოს პარტიულ თავმოყვარეობასა და ტრადიციებს. ჩვენმა პარტიამ უყოყმანოდ გადასჭრა თავისი არსებობის საკითხი და ამით მან დაამტკიცა თავისი დიდი რევოლიუციონური შეგნება. რევოლიუციას უკვე ერთი ხაზი აქვს აღებული და მისი გადახრა ყოვლად შეუძლებელია. არ არის სხვა ძალა, ამბობს ამხანაგი, გარდა კომუნისტური ინტერნაციონალის, რომელსაც შეეძლოს ოდნავ მაინც გამოასწოროს მსოფლიოს დღევანდელი მდგომარეობა. ეხება გერმანეთის ს.-დემოკრ. მუშ.-პარტიის შეუფერებელს გამოსვლებს, მათ მუხანათურ და დასაგმობ მოქმედებებს თანამედროვე ვითარებაში. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გერმანიის თანამედროვე მდგომარეობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება, გარდა კომუნისტური პარტიისა. ისტორიის მიმართულება დღეს ყველასათვის აშკარაა. მისი გეზი იხრება მსოფლიო რევოლიუციისაკენ. დღეს არსებობს ორი ძალა, ერთი რომელიც ამ ისტორიის ტენდენციას ებრძვის და მეორე კი მას იცავს. საშუალო ხაზი ამ ორ ძალთა შორის არ არსებობს. დღეს კი ყველა აშკარად ხედავს, რომ ჩვენმა პარტიამ გადადგა გარკვეული ნაბიჯი, დაგმო ყოველგვარი პარტიული თავმოყვარეობა, უარყო პარტიული ეგოიზმი და დადგა სწორ გზაზე, საერთაშორისო რევოლიუციის რიგებში. ეს არის ის პარტია, რომელიც არ შეუშინდა თვითმკვლელობას საერთაშორისო მიზნების გამარჯვება და გამტკიცებისათვის. ჩვენი პარტიისათვის არავითარი სისინი, არავითარი მოღალატური ცდები ჩვენი მტრების მიერ ჩადენილი საშიში არ არის.—ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ მას, თუ რას იტყვიან ჩვენზედ გზა-აბნეული პირები, პოლიტიკური ჯგუფები. დღევანდელი აქტი უდიდესი დამსახურება არის ქართველი ხალხის წინაშე ჩვენი პარტიის მიერ. ჩვენ აშკარათ დავუმტკიცეთ მათ ჩვენი დღევანდელი მოქმედებით, რომელიც გამოიხატება არა ღალატში, არამედ ქართველი ხალხისა და სოციალიზმის სამსახურში, მშრომელი ხალხის კეთილდღეობაში. ჩვენ არ ვღალატობთ სოციალიზმს, არამედ უფრო ვამაგრებთ, უფრო ვამტკიცებთ იმ რიგებს, რომლებიც სოციალიზმისათვის თავდადებულად იბრძვიან, ჩვენ თუ გვინდა სოციალიზმის დიდი კითხვა დადებითად გადავწყვიტოთ, მაშინ ყურადღება უნდა მივაქციოთ საერთაშორისო თანამედროვე მდგომარეობას და მის შედეგებს. საშუალო ძალა შეიძლება ფორმალურად არსებობდეს, მაგრამ ამ ძალას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს კაცობრიობის ისტორიისათვის. მემარჯვენე სოციალისტების ძალაში არავითარი გადამწყვეტი სვლა არ არის, ეს ძალა სოციალიზმის განხორციელების საქმეს აფერხებს და თავისი უხამსი, ყოვლად დასაგმობი პოლიტიკით პირდაპირ მოღალატურ როლს თამაშობს მუშათა კლასის და რევოლიუციის მიმართ.

კომუნისტური პარტიის გამარჯვება ეს არის მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვება და სოციალიზმის რეალურად განაღდება, ეს არის ყოველგვარ ჩაგვრის მოსპობა, მაშასადამე მოსპობა ეროვნული ჩაგვრისა, ეროვნული საკითხის სათანადო დონეზე დაყენება და მისი მოწესრიგება.

დღეს ვერავინ იტყვის, რომ კომუნისტური პარტია არ აქცევდეს შესაფერის ყურადღებას ეროვნულ საკითხს და არ ქონდეს გამომუშავებული მეტად სასარგებლო და მოსაწონი ეროვნული პროგრამა. მთელი პოლიტიკა კომპარტიისა დღეს არსებითად მიმართული არის კაცობრიობის უსასტიკესი მტერის იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის აღმოსაფხვრელად, ამით კომპარტია ნიადაგს ამზადებს ყველა დაჩაგრულ ერთა გასანთავისუფლებლად და ერთა შორის ძმური ურთიერთობის განამტკიცებლად. **კომუნისტური ინტერნაციონალი არის ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია კეთილსინდისიერად მოაგვაროს ეროვნული საკითხი და მოსპოს ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრა.**

დასასრულ ამხ. ი. გედევანიშვილი ყრილობას მოუწოდებს მეტი ენერგიითა და სიმტკიცით ემსახუროს სოციალიზმის დიად მცნებას და გაამაგრონ ის რევოლიუციონური რიგები, საიდანაც მთელმა ყრილობამ ერთხმად მიმართა თავისი გეზი. ყრილობა ხანგრძლივი ტაშის კვრით აჯილდოვებს მას. რომლის შემდეგ თავმჯდომარე მეორე ყრილობას დახურულად აცხადებს.

---

# ბოლო-ცნობები

(„ზაკროსტას" ცნობები 12 ნოემბრიდან").

**გიტლერის გადატრიალებას პოლიციამ ლიკვიდაცია უყო.**

**— კარმა ბრძანება გასცა ფაშისტური პარტიის დაშლის შესახებ.**

**— მემარჯვენეები აღშფოთებულნი არიან კარას ორჭოფობით.**

**— გერმანეთის სახალხო პარტიისა და ნაციონალისტების მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა.**

**— აგრარიები სიმშილით ემუქრებიან, ქალაქებს, თუ არ შესდგება მემარჯვენე მთავრობა.**

**— ახალი მთავრობის პროექტი ვირტის მეთაურობით.**

**— ექსპერტთა კომისიის კომპეტენციის საკითხში საფრანგეთი დათმობაზე წავიდა**

**— რეინში არსდება სავალიუტო ბანკი.**

**— გიტლერის მომხრეთა და ჰუნგრეთის ფაშისტებს შორის არსდება ხელშეკრულება.**

**— კრაკოვში გაფიცვა ჩაიშალა „პეპესელების" ღალატის გამო.**

---

## ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

**მალე ჩვენი წინამძღოლი სრულიად გამომრთელდება.**

მოსკოვი, 10 ნოემბერი. კრასნოპრესნის რაიონის ახალგაზრდათა კომკავშირის კრებაზე ამხ. ლიადოვმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ა. წ. გაზაფხულზე ამხ. ლენინი არავითარ იმედს არ იძლეოდა გამომრთელებისას. ივლისში ექიმებისათვის სრულიად მოულოდნელად ამხ. ლენინმა იწყო სწრაფად გამომთელება. მაშინ გაიგეს ავადმყოფობის ნამდვილი მიზეზი და სათანადო მიმართულებით დაიწყეს მკურნალობა.

ექიმები ფიქრობენ, რომ ამხ. ლენინი ვეღარ შესძლებს კითხვას. ერთხელ სეირნობის დროს ამხ. ლენინი გაატარეს ორი ამხანაგის გვერდით, რომლებიც სკამზე ისხდენ და გაზეთს კითხულობდენ. ამხ. ლენინი მაშინ კიდევ არ ლაპარაკობდა და ანიშნა მხლებლებს მიეყვანათ იმ პირებთან, რომლებიც გაზეთს კითხულობდენ, გამოსტაცა მათ გაზეთი და ყველასათვის მოულოდნელად, მთელი ერთი საათის განმავლობაში ხარბად და დიდი ინტერესით კითხულობდა მას. ამის შემდეგ დაიწყო ჯანმრთელობის სწრაფი გაუმჯობესება.

ეხლა ამხ. ლენინი დაუხმარებლად ჩადის კიბეეზე მეორე სართულიდან. რადგანაც მარჯვენა ხელს ჯერ კიდევ ცუდათ ხმარობს, ამხ. ლენინმა ისწავლა წერა მარცხენა ხელით. მისი გონება ინტენსიურად მუშაობს და ის ჩქარა დადგება საქმესთან.

---

## გერმანეთის ამბები

ბავარიის მთავრობა გიტლერის გადატრიალების ჩაქრობამდე გაქცეული იყო რეგენსბურგში.

ფაშისტების წინაალმდეგ რეიხსვერი არ გამოსულა, რადგანაც პოლიციამ თავისი ძალებით შესძლო მათთან გამკლავება. გიტლერი მსუბუქად არის დაჭრილი ხელში. გიტლერის მომხრეებმა დაიხიეს რეზენჰეიმის მიმართულებით. რათ იმყოფება თვით გიტლერი გამოურკვეველია.

ბავარიაში სამხედრო საალყო წესების შემოღების გამო, მოქმედება დაიწყო საველე სასამართლოებმა.

კარმა გამოსცა ბრძანება, რათა დაუყოვნებლივ დაშლილ იქმნენ ნაციონალ-სოციალისტური (ფაშისტური) პარტია და ფაშისტური კავშირები „ობერლანდი" და „საიმპერიო დროშა". კარის ორჭოფობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ბავარიის მემარჯვენე წრეებში. ბავარიის მამულიშვილთა კავშირებმა უნდობლობა გამოუცხადეს კარს.

გერმანეთის ახალ პარტიის მოლაპარაკებამ ნაციონალისტებთან უნაყოფოდ ჩაიარა. ნაციონალისტები უარს ამბობენ შევიდნენ მთავრობაში, თუ მის სათავეში დარჩება შტრეზემანი. მეორეს მხრით სახალხო პარტიის წევრმა ბ-ლცმა განაცხადა, რომ პარტიას არ შეუძლიან შტრეზემანის გაწირვა. მოლაპარაკება ამის შემდეგ შეწყვეტილია, მემარჯვენე პრესა განაგრძობს მემარჯვენე მთავრობის შედგენის მოთხოვნას.

ნაციონალისტთა კრებაზე გრაფ ვესტარპმა განაცხადა, რომ შტრეზემანთან შეთანხმება შეუძლებელია და აღნიშნა, რომ ნაციონალისტები შემდეგშიაც მტკიცედ დაიცავენ მემარჯვენე დიქტატურის დაწესებას. თუ რეიხსტაგი წინაალმდეგი იქნება, იგი უნდა დაიშალოს. „დეიჩე ტაგესცეიტუნგში" გამოქვეყნებულ მოწოდებაში ნაციონალისტები და აგრარიების კავშირი თხოულობენ გადამწყვეტ მოქმედებას.

აგრარიების საიმპერიო კავშირი შეთანხმდა სტინესთან და აცხადებს, რომ აგრარიები არ მიაწვდიან ქალაქს სურსათს, თუ არ შესდგება მემარჯვენე მთავრობა.

9 ნოემბერს სოციალ-დემოკრატებს, დემოკრატებსა და ცენტრის შორის სწარმოებდა მოლაპარაკება, ვირტის მეთაურობით კოალიციონური მთავრობის შექმნის შესახებ, ცენტრის წრეებში ფიქრობენ, რომ ვირტის კომბინაციის არავითარი შანსი არა აქვს საარსებოთ.

„ფორვერტის" ცნობით, საფრანგეთის წარმომადგენელმა ბერლინში, მარჟერიმ ინახულა შტრეზემანი და აცნობა მას საფრანგეთის მთავრობის აზრი გერმანეთში სამხედრო დიქტატურის დაარსების საკითხის შესახებ. შემდეგ საუბარში შტრეზემანმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობას არა აქვს განზრახვა ჩაერიოს გერმანეთის შინაურ საქმეებში, და განაცხადა, რომ საფრანგეთის თვალსაზრისს იგი უყურებს როგორც წინასწარ პირობას ორივე მთავრობის თანამშრომლობისათვის სამშვიდობო ხელშეკრულების ნიადაგზედ.

გუშინ გავრცელებული ხმები, ვითომც საფრანგეთის ელჩს ბერლინში მიღებული აქვს ინსტრუქცია წინაალმდეგობა გაუწიოს გერმანეთში მემარჯვენე მთავრობის დაარსებას, უარყოფილია დღევანდელს პარიზის ოფიციალურ პრესაში. მთავრობის ოფიციალური ცნობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთს არა აქვს განზრახვა ჩაერიოს გერმანეთის შინაურ საქმეებში და გამოსთქვამს მხოლოდ სურვილს. ჩქარა დამყარდეს ნამდვილი მშვიდობიანობის მოყვარული დემოკრატიული მთავრობა. იგივე ოფიციალური ცნობა საფრანგეთის მთავრობისა სცდილობს აგრძნობინოს, რომ უკანასკნელი ყოველმხრივ მზად არის უზრუნველჰყოს გერმანეთის მთავრობისათვის ვერსალის ხელშეკრულების შესრულების შესაძლებლობა. პუანკარეს პოზიციის შეცვლას ჰხსნიან სხვილი მრეწველების ზეგავლენით.

საფრანგეთის მთავრობამ იზოლიაზიის შიშით უფრო შემარიგებელი პოზიცია დაიჭირა ექსპერტთა კომისიის კომპენტენციის საკითხში. მიღებულ ცნობებით საფრანგეთის ელჩს ვაშინგტონში ეძლევა ინსტრუქცია არ ეწინაალმდეგოს ექსპერტთა კონფერენციის კომპენტენციის გაფართოებას. ინგლისის პოლიტიკის გამო, რომელიც სცდილობს საფრანგეთის სამრეწველო წრეების ორგანო „ჟურნალ ინდუსტრიალი" საფრანგეთის მთავრობას ურჩევს დიდ სიფრთხილეს.

მუშა ტორენს ჰამბურგის აჯანყებაში მონაწილეობისათვის მისჯილი სიკვდილით დასჯა შეეცვალა ებერტის მიერ 10 წლით დატუსაღებით.

ბერლინში მბეჭდავთა გაფიცვის გამო, საღამოს გაზეთები გარდა „ფორვერტსისა" და „დეიჩე ცეიტუნგისა" არ გამოსულან.

რეინის პროვინციის ლანტაგმა ხმის უმრავლესობით, კომუნისტთა ხმების წინაალმდეგ, დაადგინა გახსნას რეინის სავალიუტო ბანკი, რომელსაც აარსებენ გერმანეთის მრეწველები, გაგენის მეთაურობით და საფრანგეთ—ინგლის—ბელგიის კაპიტალის მოეაწილეობით.

ამსტერდამის პროფკავშირთა გაერთიანებამ გადასწყვიტა ფინანსიური დახმარება აღმოუჩინოს გერმანეთის პროფკავშირებს.

---

## უცხოეთი

**ნანსენი საბჭოთა რუსეთის შესახებ.**

თავის ახალ წიგნში რუსეთის შესახებ „რუსეთი და მსოფლიო" დოქტორი ნანსენი, როგორც „მანჩესტერ გარდიენი" იუწყება, მიდის იმ დასკვნამდე, რომ რუსეთი თუმცა ჯერ კიდევ ავადაა, მაგრამ უკვე შესდგა გამომრთელების გზაზე. „მთელმა ევროპამ ყოველი ძალ-ღონით უნდა გაუწიოს მას დახმარება საკუთარი ინტერესების მიხედვით".

დოქტორი ნანსენი მოუთხრობს იმის შესახებ, რომ რუსეთს სურს მთელი თავისი ძალები და რესურსები მოახმაროს თავის აღორძინების საქმეს, რომ მას სურს შეამციროს თავისი არმია, მაგრამ არ შეუძლია ჯერ, ამის ჩადენა, რადგან მის გარშემო იმყოფებიან შეიარაღებული მტრები, რომ მისი ინდუსტრია და ტრანსპორტი, თუმცა ძალიან ნელა, მაგრამ მაინც აღორძინების გზაზეა დამდგარი.

დოქტორ ნანსენს მოჰყავს სტატისტიკური ცნობები იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთმა შესძლო თავისი თავისათვის დახმარების გაწევა: 1542 რკინის გზის შტო სავსებით აღდგენილია; 2090 დროებით შეკეთებულია; დონის ნახშირის აუზი იძლევა 97 პროცენტს იმის, რასაც იგი 1913 წ. იძლეოდა; საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია, რომელიც 1920 წ. მხოლოდ 20 პროცენტს უდრიდა 1913 წელთან შედარებით, 1922 წ. სექტემბერში შეადგენდა უკვე 64 პროცენტს. ნანსენი მხარს უჭერს იმას, რომ საჭიროა ევროპამ დახმარება გაუწიოს რუსეთს კრედიტით, რომელიც მისი აზრით, უკვე სავსებით უზრუნველყოფილია რუსეთში და სულ ახლო მომავალში გამოიღებს სასურველ ნაყოფს განსაკუთრებული თავგამოდებით დ—რი ნანსენი მხარს უჭერს რუსეთის ხალხის და მისი „დიდი და უკვდავი სულის" შესწავლას.

**ვარშავა.** კრაკოვში აჯანყება გათავდა. მუშებმა დააბრუნეს იარაღი და შეუდგნენ მუშაობას. გაფიცულები არიან მხოლოდ რკინის გზელები.

უკანასკნელი გამოანგარიშებით, აჯანყების დროს მოკლულია 50, დაჭრილია 500-ზე მეტი. აჯანყების დროს მუშებმა ქარხნებზე დააყენეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიარაღებული რაზმები ფაბრიკა-ქარხნების ხელში ჩასაგდებად. კრაკოვში მიტინგებზე „პეპეესონები" მოუწოდებენ გაათავონ გაფიცვა. კომუნისტები ახოულობენ გაფიცვების გაგრძელებას საბოლოო გამარჯვებამდე. გაფიცული რკინის გზელები „პეპეესის" ორატორებს მიტინგებზე მტრულად ჰხვდებიან.

„პეპეესები" ჩაშალეს რა გაფიცვა, დაკმაყოფილდნენ სეიმში ინტერპელიაციის შეტანით, რომელშიაც მოითხოვენ მთავრობის გადადგომას.

**ვარშავა.** რკინის გზელები მეტად აღშფოთებული არიან გაფიცვის ჩაშლით, რადგანაც მუშებს არავითარი გარანტია არ მიუღიათ, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდება. ვიტოსის დაპირება, რომ მთავრობა დაიწყებს მოლაპარაკებას ხელფასის შესახებ, მათ არ აკმაყოფილებს, რადგანაც ასეთი მოლაპარაკებან უკვე 50 თვეა, რაც სწარმოებს.

კომპარტია მიტინგებსა და კრებებზე მოუწოდებს მუშებს გაფიცვის განგრძობისაკენ. „პეპეესი" კი შეშინებული კრაკოვის ამბებით, მოუწოდებს მუშებს შესწყვიტონ გაფიცვა.

**ვარშავა.** კრაკოვის აჯანყების შესახებ განზრახულია გამოძიება აწარმოონ ფართო მასშტაბით. სამოქალაქო სასამართლოს წარმომადგენლების გარდა, კრიკოვში ჩავიდნენ სამხედრო პროკურატურის წარმომადგენელნი, გამოძიების საწარმოებლად სამხედრო ნაწილებში.

## ახალი ამბები

— **შინაგან საქმეთა კომისარიატში.** სრ. საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმად, თიანეთის მაზრის განაწილებლად, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა დანიშნა სპეციალური კომისია შემდეგის შემადგენლობით: შინაგ. საქ. კომისარიატის წარმომადგენლად იქნება ამხ. ფანიაშვილი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლად—ამხ. რაფავა ფინანსთა კომისარიატის წარმომადგენლად—ამხ. [illegible]ოლაძე და განათლების კომისარიატიდან—ამხ. [illegible]არაია.

— **არც ერთი სტუდენტი აღწერის გარეშე.** სტუდენტების აღწერის ცენტრალური ბიურო აცხადებს, რომ სტუდენტების აღწერა გაგრძელდება 16 ნოემბრამდე. აღწერის გარეშე დარჩენილი სტუდენტები არ იქნებიან დაშვებულნი სასწავლებელში.

— **პროვინციაში მყოფ სტუდენტების საყურადღებოთ** ის სტუდენტები, რომლებიც იმყოფებიან პროვინციაში, ან მივლინებულნი არიან სხვა და სხვა დავალებათა გამო, უსათუოდ უნდა გამოცხადდნენ ასაწერად 16 ნოემბრამდის, არავითარი მიზეზი აღნიშნულ დროზე გამოუცხადებლობისათვის არ იქნება მიღებული მხედველობაში.

— **9 წლიანი შრომის სკოლები ქუთაისის მაზრაში.** ქუთაისის განათლების განყოფილებამ გახსნა 9 წლიანი შრომის სკოლები (ყოფილ რეალურ სასწავლებლის კურსით) შემდეგ ადგილებში: ქ. ხონში, სამტრედიაში, კულაში, ჯიხაიშში და ვანში.

— **შრომის სკოლების და ტეხნიკუმების გადაკეთება.** პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე შრომის სკოლები და პირველი და მეორე ჰუმანიტარული ტეხნიკუმები გადაკეთდა 95 წლიან შრომის სკოლებად.

— სამშაბათს 13 ნოემბერს საღ. 6 ს. დანიშნულია პოლიტეკონომის წრის სხდომა რუსულ ენაზე ამხ. ალაგართიანის ხელმძღვანელობით. სამშაბათს, 13 ნოემბერს საღ. 6 ნახ. ს. ისტორიულ მატერიალიზმის წრის სხდომა ამხ. გეკერის ხელმძღვანელობით. სამშაბათს, 13 ნოემბერს საღ 6 ს. მეორე ნიზაციო კრება წრეების, რომლების მეცადინეობენ ქართულ ენაზე ბუნების-მეტყველება გეოგრაფია, ფიზიკა, მათემატიკაში კომისიის მოხსენება მუშაობის გეგმის შესახებ.

— ოთხშაბათს, 14 ნოემბერს საღ. 7 ს. საზოგადოებრივ მეტყველობის წრე სომხურ ენაზე. ხუთშაბათს, 15 ნოემბერს საღ. 6 ს. სკოლებთან არსებულ საბავშო ბაღების ხელმძღვანელთა წრე ქართულ ენაზე. ხუთშაბათს, 15 ნოემბერს საღ. 7 საათ. მარქსისტული წრე სომხურ ენაზე ამხ. პოლოსიანის ხელმძღვანელობით.

სამშაბათს, 20 ნოემბერს საღ. 7 საათ. ისტორიულ მატერიალიზმის წრის მეცადინეობა ამხ. გეკერის ხელმძღვანელობით.

— **გლეხთა კომიტეტების დანიშნულების გასათვალსაჩინოებლად კვირეულების მოწყობა.** ნოემბრის 11 სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში, კომისარის ამხ. კ. ხომერიკის თავმჯდომარეობით შესდგა კომისარიატის პასუხისმგებელ თანამშრომლების კრება, კრებამ ერთხმად დაადგინა საურთიერთო დახმარე გლეხთა კომიტეტების დაარსების საჭიროების და მათი დანიშნულების ფართო მასისთვის ახლო გასაცნობათ და პოპულიარიზაციით საქართველოს რესპუბლიკის ყველა მაზრებში მოაწყოს კვირეულები, ამ კვირეულების ჩასატარებლად კრებამ დადგენილებამ მიიღო დაიხმაროს ყველა საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაციები და ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწეები;

— **მიწები საგლეხო კომიტეტებს.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე რათა საფონდო მიწები სოფლებში გადაეცეს საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების კოლექტიურად დასამუშავებლად.

— **სასკოლო ქსელის გამრავლება ქუთაისის მაზრაში.** ქუთაისის განათლების განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, ქუთაისის მაზრაში სასკოლო ქსელის გაფართოებისა და მასწავლებელთა შტატების გადიდების შესახებ.

— **შრომის განყოფილებათა გამგეების და ინსპექტორების ყრილობა.** დეკემბრის დამლევს ტფილისში მოწვეული იქნება შრომის განყოფილებათა გამგეების და შრომის ინსპექტორების ყრილობა.

— **შრომის კანონის კოდექსის გამოცემა.** შრომის კომისარიატმა შრომის დაცვის განყოფილებას დაავალა შრომის კანონთა კოდექსის ოფიციალურად უკვე განმარტებულ მუხლების პრესაში გაშუქება და შემდეგ მათი ცალკე წიგნათ გამოცემა.

— **შრომის ბირჟა.** 10 ნოემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—38 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—64, გაიგზავნა სამუშაოზე—45.

— **უმუშევართა დაზღვევა.** ოქტომბრის განმავლობაში უმუშევართა დაზღვევის განყოფილების მიერ სხვა და სხვა დახმარების სახით გაცემულია—67 მილიარდი, 217 მილიონი და 511 ათასი მან. აქედან მარტო უმუშევართ მიეცათ 62 მილიარდზედ მეტი, დანარჩენი თანხა მოხმარდა გარდაცვალებულთ და სხვას.

— **ქურდობა.** 8 ნოემბერს გაქურდული იქნა კირკის ქ. № 2 სახლში მცხოვრებ მოქ. ტარიელ ქურქჩიანცის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები.

— **ბოროტმოქმედების თავდასხმა.** 9 ნოემბერს ლაზარევის ქუჩაზე ბოროტმოქმედნი დაჰხვდნენ მოქ. იაკობ ბაბილოიანცს, რომელსაც წაართვეს რამოდევიმე მილიონი მანეთი და სასიკვდილოდ დასჭრეს თავში.

— **ქურდის შეპყრობა.** მილიციის მიერ შეპყრობილი იქნა მოქ. გიორგი კომანი, რომელსაც ბრალი ედებოდა მოქ. ვიაჩესლავ არუთინოვის ბინის გაქურდვაში, კომანი დანაშაულში გამოტყდა.

— **ბინის გაქურდვა.** 7 ნოემბერს გაქურდული იქნა ბებუთოვის ქ № 42 სახლში მცხოვრებ მოქ. ტალენკოს ბინა, საიდანაც წაიღეს სხვა და სხვა ნივთები, ღირებული 500 მილ. მანეთად.

— **კომპოზიტორ ჩარკვიანის ხსოვნის აღსანიშნავად.** 17 ნოემბერს, სახ. კონსერვატორიაში გაიმართება დიდი კონცერტი კომპოზიტორ ვ. ჩარკვიანის გარდაცვალებიდან 30 წლის თავის აღსანიშნავად.

— **ვალიუტის კურსი.**

2 სექტემბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | | 103.000 მ. |
| სტერლინგი ეფექ. | | 965,00 „ |
| | ჩეკი. | 93,000 „ |
| დოლარი ეფექ. | | 22,200 „ |
| | ჩეკი. | 20,500 „ |
| ოსმალური ლირა | | 11,500 „ |
| საბჭოთა ფული | | 13,500 „ |

## პარტიაში

**ოთხშაბათს, ნოემბრის 14, საღამოს 6 საათ, პარტიულ ბიუროში დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა. გასარჩევია გადაუდებელი საკითხები.**

დღეს, სამშაბათს, ნოემბრის 13-ს საღ. 6 საათზე, ცენტრალურ კლუბში დანიშნულია ტფილისის კომიტეტის პლენუმის სასწრაფო სხდომა. ამხანაგებს ევალებათ დასწრება.

ტ. კ. მდივანი **გ. ხოფერია.**

## ფელეტონი

**ამონაწერი 1923 წ. ტფილისის მაზრის სასოფლო-სამეურნეო აღწერის დღიურიდან.**

**აგვისტო 30.**

დიდ-გორისკენ გავემართენით. გზაში პატარა ბიჭი შემოგვხვდა, ცხვრებს და ხბორებს აძოებდა და საამური მთის წმინდა წკრიალა ხმით დამღეროდა. ასეთი სიმღერა არ გამიგონია...

პირველათ სოფ. დრე დამხვდა ჩემი მასპინძლის ოჯახი 27 სულისაგან შესდგებოდა. მასპინძელმა სიამოვნებით მიგვიღო მოგვცა ოთახი, რომელშიაც 200 კაცი დაეტეოდა. ოჯახის უფროსი რძალი ავათ იყო, მძიმეთ ქშინავდა. ნაოფლი გაციებულიყო მკაში; ფილტვების ანთება ჰქონდა. თითონ ავადმყოფი ამბობდა რომ გულთან ეჭიდება. გახურებული ცხელი აგური დაედვათ გულზედ. სახე დასჭარხლებოდა ავადმყოფს, სიცხეს აეწია... არც ექიმი, არც უბრალო დახმარება... მეორე დილას უკანასკნელ წუთებში დავსტოვე მოხუცი და წამოველ პრიუტისაკენ.

**2 ენკენისთვე.**

... მოკლე გზამ ტყისკენ გამიტყუილა, გავჩერდი. დაბნელდა. მზის სხივებიც ნაკლებათ სწვდებოდნენ აქაურობას..

ბილიკს იქით გულ-შემზარავი ხევი იყო, რომლის ძირიდა მოისმოდა გაშმაგებული მთას ცელქი მდინარის შხუილი...

ტირილის ხმა შემომესმა. პატარა ველზედ შევნიშნე ბიჭი; გავსწიე იმისკენ.

„ვაიმე ჩემო მცხვრებო, ვაიმე ჩემო ყოჩებო" მოსთქვამდა ის...

ვიცან პატარა ბიჭი: გუშინ მცხვრებს და ხბორებს რომ აძოებდა ის ბიჭი იყო.

„ვაიმე ჩემო ყოჩებო, ვაიმე ჩემო ცხვრებო. ცხვრებო, ვინ დამღუპა" კვლავ იმეორებდა პატარა წასულ ღამეს პატარა მწყემსს მგელი გადაჰპაროდ ეზოში, მცხვრები დაებრთხო, ლობიდან გადმოერეკა, ზოგი იქვე დაუხოცა ზოგიც გაერეკა ტყისკენ დილით მდევარი დადევნებოდა, მაგრამ გატაცებული მცხვრები დახოცილი ენახათ. ჩამოვშორდი პატარ მწყემსს; დიდ-ხანს კიდევ მესმოდა: ვაიმე ჩემო ცხვრებო, ვაიმე ჩემო ყოჩო, ვინ დამწყევლა.

**6 ენკენისთვე.**

ტყეში, პატარა ბილიკის გვერდით უცნობს შევხვდი. დავეხმაურე. უცნობი წამოდგა ის იქნებ. 60—65 წლ. თეთრი წვერით შემოსილი, გატეხილ, დაჭანცულ სახით.

„ვისი ხარ, შვილო მკითხა იმან, ტფილისიდან ვართ უპასუხე მე".

„ჰო, აი, ხალხს რომ სწერამთ—კარგი და გამოგვივა რამე საჩუქარი—გვეშველება რამე?..

...ერთი კვირაა დავდივარ—სასოფლო ცხვარი დაგვტაცეს, ჩემიც ერია ერთი მცხვარი, ისიც რით ვაგლახით ვიყიდე—სამღვთოთ მქონდა ხატისთვის შეთქმული, რაც ის მცხვარი დავკარგე სახლში ყველანი ავათ დავხდით წამოველ საძებნელათ—სოფლიდან კაცები დავგზავნეთ, არა ჩანს—რა, ტყუილათ ვიარე ეხლა სახლში მივალ, ახლო არის ჩვენი სოფელი, ამ ქედს იქით არის, ლოლოვანი ჰქვიან.

**10 ენკენისთვე.**

ჩემი თანამგზავრი უწყალოთ ურტყამდა საბრალო პირუტყვს კარგ მოზრდილ ჯოხს და თან ლანძღვას არ აკლებდა. ჩემი პირუტყვი ხან ერთს მხარეს გაქანდებოდა, იქნებ უხეში ცემა როგორმე ავიცდინოვო და ხან მეორეს, „საქონლის ეგრე ცემა როგორ შეიძლება? შევეკითხე მე.

„შე დალოცვილო მაშ ვირი რათა ჰქვიან—შეჩვეულიც არის, მაგისთვის ეს ცემა არაფერია.. საით მიბძანდებით? მკითხა მან.

-ტაბახმელას.

საქმე რამე გექნებათ?

ისე—ცოტა რამ „უპასუხე მე."

ჩამოცხა. შინელი ჩამოვართო ჩემმა თანამგზავრმა და სახედარს გადაჰკიდა.

... ტაბახმელას, რომ მივედით მადლობა გადავუხადე და გამოვემშვიდობე ჩემს თანამგზავრს.

„უკაცრაოთ, ცოტა რამ გასამრჯელო მერგება".

რისა? შევეკითხე.

აი შინელი რომ წამოგიღე.

რამდენი?

ერთი მილიონი, ან ეგ რა არის ეხლანდელ დროში?.

**15 ენკენისთვე.**

თქვენი გვარი?

შეეკითხა ერთი თანამშრომელთაგანი სოფ. ვარსანში (მცხეთის ახლოს) მცხოვრებს.

„წიკლაური, მიუგო იმან.

მთელი მანგლისის და პრიუტის თემები მოვენილნი არიან წიკლაურ-ბექაურებით.

წიკლა და ბექა წინეთ ძმები ყოფილან. ბექა უფროსი წიკლა უნცროს, უცხოვრიათ ანანურისკენ ორთავე განთქმულნი ყოფილან თავიანთ გმირობით და ვაჟკაცობით. მთელი მთიულეთი, თუშ-ფშავხევსური იცნობდნენ და პატარ-პატარა ლექსებიცკი გამოუთქვეს წიკლა უფრო წინ დახედული, დარბაისელი ყოფილა ბექაზედ. ბექა ამაყი გოროზი მკაცრი სცდილობდა თავისი განზრახვა აესრულებინა, გინდ წინ გადასდგომოდა მთელი სოფელი. ბექამ უსიამოვნების დროს ხელის გარტყმით კაცი მემოიკლა. ურჩია წიკლამ მოშორებოდნენ მთიულეთს, რადგანაც ხალხი შურის ძიებას აპირობდა. ბექა მოშორდა. წიკლამ თავი ვერ დაანება და გადმოსახლდნენ მანგლისის თემში. ჩქარა მოსწყინდათ, საბრძოლველი მოედანი დიდი იყო, მეომრები—კი არა სჩანდნენ. წაეკიდა ბექა წიკლას. ჯან-დან ვერ სძლია. იშიშვლეს ხანჯლები, მაგრამ ამოღებული ხანჯალი წიკლამ ისროლა. ისევ სამუდამოთ გაცლა ურჩია წიკლამ, ვინემ ერთ-მანეთის დახოცვა. ბექა დაიყაბულა. ცოცხალი შავი ძაღლი ძმებმა დაჭრეს შუაში—ერთი ძმა ერთს მხარეს დადგა მეორე ძმა მეორედ, და ასე [illegible] ორათ...

ამ დღიდან ბექა და წიკლა [illegible] გახდნენ ერთმანეთისა [illegible] ცოლათ ეკუთვნოდნენ ბექას შვილებს და ბექას შვილები. წიკლას ბექასაგან წარმოსდგა გვარი ბექაური, ხოლო წიკლასგან წიკლაური. ასეთია ხალხის თქმულება.

**16 ენკენისთვე.**

დილის რიჟრაჟზედ წინ გადმიდგა პატარა ბიჭი და შორიდანვე ქუდი მომიხადა.

„გაიზარდე ქაჯან, ვისი ხარ"?

„ბეგრეთელი ვანოსი".

მერე აქ რა გინდა, შევეკითხე.

მოჯამაგირეთ ვდგევარ, ღამის ხარს უდგევარ" მიპასუხა პატარამ.

მე განვაგრძე გზა.

„ძიავ, ჰაი ძიავ" შემომესმა ხმა.

გავჩერდი. პატარამ მოირბინა.

„ძიავ. თუ ქაღალდი გაქვს გამიცვალე კაკალზე—ერთი ჩანახი მაქვს...

ქაღალდი რათ გინდა?

წერა-კითხვას ვსწავლობ, ამ სოფელში ერთ[illegible] ერთი ბიჭია, ის გვასწავლის, ეგ ერის ქაღალ[illegible] ვერა ვშოულობთ...

პატარამ ამოიღო ჯიბიდან გაზეთის ნაგ[illegible] ჯები, რომელზედ ფანქარით გამოყვანილი იყო [illegible] ები; ის მცოდნე გამოდგა წერა-კითხვისა.

მთელი დღე ყურებში მიშრიალებდა პა[illegible] ბიჭის ხვეწნა: „ძიავ, ჰაი ძიავ, თუ ქაღალდი [illegible] გამიცვალე კაკლებზედ....."

**გიორგი ხუხიშვილი.**

## ხელოვნება

**წარმოდგენა არ. ჯორჯიაშვილის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად.** ორშაბათს 12 ნოემბერს რუსთაველის თეატრში გაიმართა წარმოდგენა რუსულ ენაზედ. წარმოადგინეს „არშინ-მალ-ალან" მუსიკით და ცეკვით.

**ს. მგალობლიშვილის იუბილე.** სრ. საქართველოს მწერალთა კავშირი, დამსახურებულ ბელეტრისტ ს. მგალობლიშვილს, უმართავს იუბილეს დეკემბრის შუა რიცხვებში.

### დღეს თეატრებში

**რუსთაველის თეატრში.** დღეს, სამშაბათს 13 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება მეორედ ამ სეზონში ზ. ანტონოვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში" 3 მოქმედებათ დადგმა კოტე მარჯანიშვილისა.

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს, 13 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ, აგრეთვე მომღერალ ემ-ლ-ვაგის პირველ გამოსვლისათვის „ტოსკა" 3 მოქ. მუსიკა პუჩინისა. მონაწილეობს აგრეთვე მომღერალი ქალი ე. პანკრატოვი.

**რუსული დრამა** დღეს სახალხო სახლში რუსული დრამის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება შექსპირის პიესა „ჭირვეული ცოლის მორჯულება" პიესა დაიდგმება ორიგინალურად. თანამედროვე ტანისამოსებში და დეკორაციებით. რეჟისორობს მსახ. ფორადოლინი.

**„წითელი ჩანგი".** გამომცემლობა „წითელი ჩანგი" შეუდგა რევოლიუციონურ ლექსების „წითელი ჩანგის" გამოცემა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგე** უვადო ბილეთი აღებული ქ. ბაქოში 1905 წლის აპრილში ელისაბედ გრიგოლის ასული მალაევის სახელზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

462

გაზეთი
„ტრიბუნა"
ნ-ემბრის 1-დან ელირება:

| | |
|---|---|
| პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად | 7.000.000 მ. |
| დაწესებულებათა და კერძო პირთათვის | 9 000.000 „ |
| ცალკე ნომერი | 500.000 „ |

ტირაჟი 1800 ნება [illegible] და გამომცემლობის მთავარ მართველობის მი-რი № 810 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სი, კონსტანტინის ქ. № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა